

**სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი  
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის  
დეპარტამენტის დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. დეპარტამენტი არის სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სტრუქტურული ქვედანაყოფი.

3. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) სამართლებრივი აქტებით, ცენტრის დებულებით, წინამდებარე დებულებით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

4. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია ცენტრის გენერალური დირექტორისა და მოადგილის წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 2. დეპარტამენტის მიზნები და ამოცანები**

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის საქმიანობის მიზნები და ამოცანებია:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავების პროცესში მონაწილეობა, პროგრამული ღონისძიებების ადგილებზე განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი;

ბ) გადამდები დაავადებების ეპიდზედამხედველობის და ეპიდაფეთქებების მიზეზების დადგენის ხელშეწყობა გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტთან აქტიური თანამშრომლობით;

გ) ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, განსაკუთრებით სამიში ინფექციების კერებში ეპიზოოტოლოგიური, ენტომოლოგიური და ეპიდემიოლოგიური კვლევების ადგილებზე ჩატარების ორგანიზება. დკსჯდ რეგიონული წარმომადგენლობების მეშვეობით საზ.ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრებიდან ინფორმაციების მოპოვების ორგანიზაცია ცენტრალურ დონეზე ანგარიშგებისათვის;

დ) იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის ორგანიზაცია, ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელების ზედამხედველობა (მონიტორინგი და შეფასება) შესაბამის დეპარტამენტებთან კოორდინაციით; ინფორმაციის მიწოდება დადგენილი ფორმით.

ე) ცხოვრების ჯანსაღი წესის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების ორგანიზება და მეთოდოლოგიის დანერგვა, განხორციელება რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე; მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგისა და ანალიზის პროცესების ორგანიზება;

ვ) სამედიცინო სტატისტიკის წარმოების ხელშეწყობა - სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, წარმოების ხარისხის ვიზუალური ანალიზი და სტატისტიკის დეპარტამენტისათვის მიწოდების ორგანიზება;

ზ) ლაბორატორიული საქმიანობა :

- მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიული კვლევების წარმოება;
- განსაკუთრებით საშიში და მასთან გათანაბრებული ინფექციების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა – ბაქტერიოლოგიური, სეროლოგიური, მოლეკულური. ამ შემთხვევათა ელექტრონული რეგისტრი (დეიზ–ის სისტემაში).
- ლაბორატორიების ორგანიზების და ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა და ლაბორატორიების ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- გადამდები/არაგადამდები დაავადებების ეპიდზედამხედველობის ერთიანი /ელექტრონული/ სისტემის ფუნქციონირების ორგანიზაციული ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების ფარგლებში ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, შესაბამისი სტატიებისა და კვლევების შედეგების პუბლიკაცია.
- სემინარების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების ორგანიზება.

თ) ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობის მიღება; პათოლოგიური ბიოლოგიური აგენტების კლასიფიკაციის და განსაკუთრებით საშიშ ინფექციებზე საქმიანობის სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ი) რეგიონული სამმართველოების/განყოფილებების დახმარებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური, ცენტრებისათვის სახელმძღვანელო მეთოდური რეკომენდაციების მომზადება და ადგილებამდე დაყვანის ორგანიზება;

კ) დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ადგილებზე შეუფერხებლად განხორციელების ხელშეწყობა ;

მ) ეპიდემიოლოგიური სტანდარტების, ჰიგიენური ნორმებისა და სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობა;

ნ) საზ.ჯანდაცვის პროფილური კადრების მომზადება/ გადამზადების საჭიროებების განსაზღვრა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ხელშეწყობა;

ო) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების ირგვლივ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, საზოგადოებისათვის ინფორმაციის, რეკომენდაციების მიწოდების ორგანიზება;

პ) კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო წინადადებების მომზადება;

რ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

მუხლი 3. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა.

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.

2. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია ცენტრის გენერალური დირექტორის და გენერალური დირექტორის კურატორი მოადგილის წინაშე.

3. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს ორი მოადგილე.

4. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს დეპარტამენტს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას;

გ) ზედამხედველობას და კოორდინაციას უწევს დეპარტამენტის სამმართველოების/ განყოფილებების მუშაობას;

დ) ანაწილებს ფუნქციებს დეპარტამენტის სამმართველოებს/განყოფილებებს და დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ე) თვალყურს ადევნებს და ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

ვ) აკონტროლებს გენერალური დირექტორის ბრძანებების, მითითებების, დავალებების, გენერალური დირექტორის მოადგილეების დავალებების შესრულებას დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ;

ზ) აკონტროლებს დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვას;

თ) ავიზებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს და წერილებს; ასევე, კომპეტენციის ფარგლებში ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს;

ი) წარუდგენს გენერალურ დირექტორს და კურატორ მოადგილეს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს,

კ) ორგანიზებას უწევს დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის უფლებების განხორციელებასა და მოვალეობების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს გენერალურ

დირექტორს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;

ლ) წარუდგენს გენერალურ დირექტორს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

მ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის უფლებებისა და მოვალეობების შესასრულებლად;

ნ) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის მოსამსახურეების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ო) შუამდგომლობს დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

პ) ასრულებს გენერალური დირექტორისა და მისი მოადგილეების ცალკეულ დავალებებს.

რ) ახორციელებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

5. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის ან მის მიერ დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში დეპარტამენტის უფროსის უფლებამოსილებას ახორციელებს დეპარტამენტის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე, ხოლო, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის არყოფნის, ან მის მიერ დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მეორე მოადგილე ან/და ერთ-ერთი სამმართველოს/განყოფილების უფროსი.

6. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;

ბ) ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

გ) ასრულებს გენერალური დირექტორის და გენერალური დირექტორის მოადგილეების და დეპარტამენტის უფროსის დავალებებს;

დ) დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ხელს აწერს და ავიზებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს, ასევე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ავიზებს ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ შემუშავებულ დოკუმენტებს;

ე) ავიზებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს, ასევე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ავიზებს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის უფროსის, გენერალური დირექტორის კურატორი მოადგილის და გენერალური დირექტორის წინაშე.

8. დეპარტამენტის უფროსის მოადგილის არყოფნის ან მის მიერ დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში დეპარტამენტის უფროსის მოადგილის უფლებამოსილებას ახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მეორე მოადგილე ან/და ერთ-ერთი სამმართველოს/განყოფილების უფროსი.

9. დეპარტამენტში შემავალ სამმართველოს/განყოფილებას ხელმძღვანელობს სამმართველოს/განყოფილების უფროსი.

10. სამმართველოს/განყოფილების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამმართველოს/განყოფილების საქმიანობას;

ბ) განიხილავს და თანამშრომელთა შორის ანაწილებს სამმართველოში/განყოფილებაში შემოსულ დოკუმენტაციას;

გ) ანაწილებს მოვალეობებს სამმართველოს/განყოფილების თანამშრომელთა შორის, უზრუნველყოფს სამმართველოს/განყოფილების მუშაობის ორგანიზაციას, პასუხისმგებელია თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვაზე;

დ) კომპეტენციის ფარგლებში ავიზებს სამმართველოში/განყოფილებაში, ასევე, დეპარტამენტში და ან ცენტრში მომზადებულ დოკუმენტების პროექტებს და წერილებს;

11. სამმართველოს/განყოფილების უფროსი სამმართველოს/განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის უფროსის და დეპარტამენტის უფროსის მოადგილეების წინაშე.

12. სამმართველოს/განყოფილების უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამმართველოს/განყოფილების უფროსის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამმართველოს/განყოფილების უფროსის უფლებამოსილებას ახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამმართველოს/განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი.

მუხლი 4. დეპარტამენტის ქვედანაყოფები და მათი კომპეტენციები.

1. დეპარტამენტი მოიცავს შემდეგ ქვედანაყოფებს:

ა) იმერეთის სამმართველო;

- ბ) აჭარის სამმართველო;
- გ) ფოთის განყოფილება;
- დ) სამცხე-ჯავახეთის განყოფილება;
- ე) სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილება;
- ვ) კახეთის განყოფილება;
- ზ) გურიის განყოფილება;
- თ) შიდა ქართლის განყოფილება;
- ი) რაჭა-ლაჩხუმ-ქვემო სვანეთის განყოფილება;

2. დეპარტამენტში სამსახურს ეწევიან:

- ა) დეპარტამენტის უფროსი;
- ბ) დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- გ) სამმართველოს უფროსი;
- დ) განყოფილების უფროსი;
- ე) მთავარი სპეციალისტი;
- ვ) უფროსი სპეციალისტი;
- ზ) სპეციალისტი;
- თ) დამხმარე სპეციალისტი.

3. დეპარტამენტში მუდმივ და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება მიღებულ იქნეს შტატგარეშე თანამშრომელი.

4. დეპარტამენტის თანამშრომლებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური დირექტორი.

5. დეპარტამენტის თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, ცენტრის დებულებით, ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაოთა აღწერილობით და საქართველოს კანონმდებლობით.

6. დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება ცენტრის საშტატო განრიგით, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს ცენტრის გენერალური დირექტორი.

7. იმერეთის და აჭარის სამმართველოების; ფოთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, კახეთის, გურიის, შიდა ქართლის და რაჭა-ლაჩხუმ-ქვემო სვანეთის განყოფილებების ფუნქციებია:

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური, ცენტრებისათვის მეთოდური სახელმძღვანელო რეკომენდაციების მომზადება და ადგილებამდე დაყვანის ორგანიზება;

ბ) დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში, სახელმწიფო პროგრამათა გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში ხელშეწყობა;

დ) ეპიდემიოლოგიის, ეპიდემიების მიზეზების დადგენის, ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების, განსაკუთრებით საშიში ინფექციების კერებში ეპიზოოტოლოგიური, ენტომოლოგიური და ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარების, გადამდები/არაგადამდები დაავადებების ეპიდზედამხედველობის ერთიანი /ელექტრონული/ სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობა;

ე) იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის, ლოჯისტიკის განხორციელების ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე;

ვ) სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების ორგანიზება და ადგილებიდან დროული მოწოდების ხელშეწყობა;

ზ) ლაბორატორიული საქმიანობის, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ფუნქციონირების ხელშეწყობა; სადეზინფექციო საქმიანობის ეფექტიანობის ხელშეწყობა ადგილებზე;

თ) ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ცენტრის ადგილობრივი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ი) ცხოვრების ჯანსაღი წესის ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, ქვევითი რისკ-ფაქტორების შეფასების და კორექციის ხელშეწყობა;

კ) ეპიდემიოლოგიური სტანდარტების შემუშავებისათვის ადგილობრივი სამსახურებიდან წინადადებების მომზადება;

ლ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების ირგვლივ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ინფორმაციის და რეკომენდაციების მიწოდება კომპეტენციის ფარგლებში;

მ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფილური კადრების მომზადება – გადამზადების ორგანიზაცია, უწყვეტი განათლების სისტემაში ჩართვის, საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხელშეწყობა;

ნ) საკანონმდებლო, წინადადებების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში;

ო) პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან,

პ) ჯანმრთელობის გაუმჯობესების ძირითადი სამიზნეების ინტეგრაცია ადგილობრივი მოსახლეობის კულტურის, განათლების, ტრადიციებისა და უნარ-ჩვევების მიხედვით და რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალურ პროგრამებსა და ღონისძიებებში შესატყვისი სერვისების, ინტერვენციების, საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებისათვის.

ჟ) ეროვნული და საერთაშორისო ანგარიშგებისათვის მასალების მომზადება; საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პროფესიულ გაერთიანებებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებსა და ექსპერტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი თანამონაწილეობის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფა;

რ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.